


შპს „ექსპრესდიაგნოსტიკა“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება


დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....6
3. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....7
4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....8

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია, რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს ექსპრესდიაგნოსტიკა).

რეგისტრაციის თარიღი: 26/02/2003.

კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას N16

კომპანიის დირექტორი: თეიმურაზ აზიკური

მესაკუთრე: თეიმურაზ აზიკური (100% წილის მფლობელი)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

3. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

4. მოგების გადასახადი


მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- შენობა-ნაგებობა - 5%

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არაღემატება 10 წელს.

7. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.


8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.


საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.


დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდის
მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება	31.12.2019	01.01.2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,991	70,315
სავაჭრო მოთხოვნები	1,080,059	725,467
მარაგები	445,341	364,391
- მზა პროდუქცია	445,341	364,391
საინვესტიციო ქონება	289,610	289,610
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	2,278	2,681
ძირითადი საშუალებები	420,929	476,308
სხვა გრძელვადიანი აქტივები	61,856	465,720
სულ აქტივები	2,350,064	2,394,492
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	485,563	811,094
საგადასახადო ვალდებულებები	6,405	75
სულ ვალდებულებები	491,968	811,169
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	440,729	440,729
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,417,367	1,142,312
სულ საკუთარი კაპიტალი	1,858,096	1,583,323
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,350,064	2,394,492


დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2019 წლის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	2019
ნეტო ამონაგები	1,768,701
საქონლის გაყიდვიდან	1,399,513
მომსახურების გაწევიდან	369,188
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-993,970
საწყისი მარაგები	326,093
მარაგების შესყიდვა	1,113,218
საბოლოო მარაგები	445,341
საერთო მოგება	774,731
დასაქმებულთა ანაზღაურება	-495,411
ცვეთა და ამორტიზაცია	-52,911
საპროცენტო შემოსავალი:	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-97,423
სულ საოპერაციო ხარჯები	-645,745
საოპერაციო მოგება	128,986
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-6,783
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	122,203
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	122,203
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	122,203
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,583,323
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	152,570
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,858,096

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	2019
ფული და ფულის ექვივალენტები	49,991

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს.

2.	2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,080,059

კომპანია ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობას, რომლის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის და მოიცავს ადგილობრივ მყიდველებს.

3.	2019
მარაგები	445,341

უცხოური და ადგილობრივი მომწოდებლებისაგან გადასაყიდად განკუთვნილი პროდუქცია.


4.	2019
საინვესტიციო ქონება	289,610

კომპანიის ფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა რომელიც იჯარითაა გაცემული.

5.	2019
ძირითადისაშუალებები	420,929

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა



6.	2019
სხვა გრძელვადიანი აქტივები	61,856

კომპანიის მიერ ადგილობრივ საწარმოებზე გაცემული სესხები. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტის შესაბამისად.

7.	2019
სავაჭრო ვალდებულებები	485,563

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისაგან.

8.	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	-52,911

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

9.	2019
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	97,423

საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	17,649
მომსახურების ხარჯი	15,891
კომუნალური ხარჯი	8,499
კომუნიკაციის ხარჯი	8,963
საწვავის ხარჯი	15,434
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,853
სხვადასხვა საგადასახადო ვალდებულებები	20,134
სულ	97,423

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: თეიმურაზ აზიკური
მთ.ბუღალტერი: ლაშა ჯოლოხავა

